პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 13 იანვარი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კაპ.

# წითელი არმიელი

№ 8 (696) 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა ტელ. 2—24

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც' ნომპარელის სტრიქონ სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

## სამხკორთა თათბირი

**რომელიც დანიშნული იყო 11 იანვარს შესდგება ოთხშაბათს 14 იანვარს საღამოს 6 საათზე რედაქციის ბინაზე.**

გაზეთ „წითელ არმიელის“ რედაქცია.

## საბჭოთა არჩევნებისათვის.

ამ ახლო ხანში დაიწყება ხელახლა საბჭოების არჩევნები.

საბჭოთა არჩევნებს დღევანდელ მომენტში მეტის მეტად დიდი მნიშვნელობა ეძლევა, განსაკუთრებით სოფლად. დღემდის საბჭოების მუშაობა ვერ იყო დაყენებული სათანადო დონეზე.

მშრომელთა მასები, მეტ ნაწილად გლეხობა გულგრილად იყო განწყობილი საბჭოთა არჩევნებისადმი. ამის მიზეზი იყო ის გარემოება რომ აქამდი ჩვენი ხელისუფლების და პარტიის მთელი ყურადღება მიპყრობილი იყო, ხან სამოქალაქო ომისაკენ, ხან მეურნეობის ფრონტისკენ და სხვა, და საბჭოებს არ ექცეოდა ჯეროვანი ყურადღება. დღეს კი ეს საკითხი გარდაიქცა ჩვენი დაუყოვნებელ ამოცანად.

დღეს ჩვენს მიზანს, შეადგენს გამოვაცოცხლოთ საბჭოები, მივიზიდოთ მასში მშრომელი გლეხობის ფართე მასები, გავაცხოველოთ მისი მუშაობა და ძირბუდიანად მოვსპოთ მასში ყოველგვარი ბიუროკრატიზმი და „კაზიონშჩინა“.

საბჭოები უნდა დაუახლოვდენ მშრომელთა მასას, უნდა გახდენ მისი ინტერესების, სურვილის და მისწრაფებების გამომხატველი და შემსრულებელი.

განსაკუთრებით საჭიროა ეს დღეს, როცა პარტიისა და ხელისუფლების წინაშე სდგას მთელი რიგი ამოცანების განხორციელება სოფლის აღორძინების მიზნით.

რომ ჩვენ გავაჯანსაღებთ საბჭოებს, ამის საწინდარია ის ღრმა გარდატეხა გლეხობაში, რომელიც მოხდა უკანასკნელი ავანტიურის შემდეგ. კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ავტორიტეტი დღეს ისე მაღლა სდგას ჩვენში როგორც არასოდეს.

არამც თუ გლეხობა, არამედ მშრომელი ინტელიგენციაც მოწადინებულია ყოველმხრივ ხელი შეუწყოს საბჭოთა ხელისუფლებას მის აღმშენებლობითი მუშაობაში და თვითონაც მიიღოს მხურვალე მონაწილეობა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის განმტკიცებაში.

ცხადია ეს გარემოება საუკეთესო საწინდარია საბჭოების გამოცოცხლებისა. სწორედ უპარტიო გლეხთა მასების ჩაბმით საბჭოების მუშაობაში—ჩვენ შევძლებთ ყველა დასახულ ამოცანების შესრულებას ახალი სოციალისტური სოფლის შესაქმნელად.

არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე ჩვენი ჯარის ნაწილები. წითელი არმია არამც თუ ფხიზელი დარაჯია სოციალისტური რესპუბლიკის, ის აქტიური წევრიც არის მის შემოქმედებითი მუშაობაში.

ამიტომაც ჩვენი წითელი არმიელები მხურვალედ უნდა ჩაებან საარჩევნო კამპანიაში. არ კმარა მარტო ის, რომ თვით მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში. საჭიროა მისწერონ თავის ოჯახებს, არჩევნების მნიშვნელობის შესახებ.

წითელ-არმიელმა უნდა მოუწოდოს თავის ოჯახის წევრებს, რათა ყველა მათგანმა მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში და ხმა მისცეს კომუნისტებს და ყველა პატიოსან უპარტიოებს, რომლებიც დაინტერესებული არიან მუშურ გლეხური სახელმწიფოს განმტკიცებაში.

უნდა ვეცადოთ საბჭოში არ გავიდეს არც ერთი ჩარჩი, სოფლის ბობოლა და სხვა და სხვა ჯურის ელემენტები. საბჭოებში უნდა გავიყვანოთ ისეთი ხალხი, რომელიც მტკიცედ დაიცავს მშრომელი ხალხის ინტერესებს და ენერგიულად იმუშავებს მის საკეთილდღეოთ.

ასეთები არიან კომუნისტები და პატიოსანი უპარტიო მუშები და გლეხები.

## საბჭოთა კავშირის უდიდესი მტერი მოიშორეს.

იუზი გადადგა თანამდებობიდან. მის ადგილზე დაინიშნა ლონდონში მყოფი ამერიკის ელჩი-ფრანკ კელლოგი. ევროპის პოლიტიკური წრეების აზრით ამერიკის ხაზი შეცვლილ იქნება საგარეო პოლიტიკაში და კერძოდ გერმანიისა და საბჭოთა კავშირის მიმართ.

კელლოგი რეაქციონურად განწყობილი რესპუბლიკანელია, მაგრამ იუზივით ჯიუტი არ არის. ის არის ერთა ლიგის მომხრე. კელლოგის დანიშვნით ამერიკა თანდათანობით დაუახლოვდება ერთა ლიგას და უფრო ახლოს მიიღებს მონაწილეობას ევროპის საქმეებში.

## ბელგიის რევოლიუციონერების პასუხი ყვითლებს.

ამსტერდამსა და მეორე ინტერნაციონალის საბჭოთა კავშირზე გამოლაშქრების საპასუხოდ, ბელგიის კომპარტია და „შრომის რაინდები“ (ბელგიის სამთო-მადნო მუშათა რევოლიუციონური კავშირი) კვირას იწვევენ კრებას დღის შემდეგი წესრიგით: პროფმოძრაობის მთლიანობა, საბჭოთა კავშირის დაცვა, ბრძოლა ფაშისტების წინააღმდეგ და საკითხი ქარხნების უჯრედების შესახებ.

## ახალი საგლეხო გაზეთი.

ამ დღეებში გამოვიდა ახალი საგლეხო გაზეთი „ახალი სოფელი“. დღემდი ჩვენ არ გვქონდა კარგი საგლეხო გაზეთი, რომელიც როგორც თავისი გარეგნული სახით, ისე თავისი შინაარსით მისაწდომი იქნებოდა ფართე გლეხთა მასებისთვის და სავსებით შეეფერებოდა მათ მოთხოვნილებას და ინტერესებს. ასეთი გაზეთი კი მეტის მეტად საჭიროა დღევანდელ მომენტში, როდესაც ხალხი გლეხობის გამოღვიძება და ისწრაფვის გარდაქმნას თავისი ცხოვრება ახალ სოციალისტურ საფუძვლებზე.

ამიტომაც საგლეხო გაზეთი აუცილებლად საჭიროა, რომელიც ხელს შეუწყობს გლეხობის პოლიტიკური შეგნების გაღრმავებას, მის შემჭიდროებას კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების გარშემო, ისახავს მის ცხოვრების ყველა დადებით და უარყოფით მხარეებს და მით დიდ დახმარებას გაუწევს ახალი სოფლის შექმნის საქმეს.

ასეთია საერთოდ საგლეხო გაზეთის დანიშნულება, კერძოდ ახლად გამოსული გაზ. „ახალი-სოფელი“სა. უნდა ვსთქვათ რომ ამ მხრივ დიდ იმედებს იძლევა გაზ. „ახალი სოფელი“. მართლადაც თავისი გარეგნული ფორმით და მეტისმეტად კარგად დამუშავებული შინაარსიანი მასალით ის დიდათ უახლოვდება გლეხთა მასების მოთხოვნას.

ეს კი კარგი დასაწყისია. ვიმედოვნებთ რომ მომავალში ის უფრო დაუკავშირდება სოფელს და გახდება ნამდვილი საგლეხო მასიური გაზეთი. რასაკვირველია ამას მიაღწევს ის მაშინ, როდესაც ასობით შემოიკრებს თავის გარშემო სოფლის კორესპონდენტების არმიას.

გაზ. „ახალი სოფელი“ ათასობით უნდა გავრცელდეს ჩვენი რესპუბლიკის ყველა კუთხეებში. „ახალი სოფელი“ უნდა გახდეს ჩვენი გლეხობის საუკეთესო მეგობარი და თანამგზავრი მის ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამიტომაც ყველამ უნდა შეუწყოთ ხელი მის ფართედ გავრცელებას სოფლად. ამ მხრივ დიდი დახმარების გაწევა შეუძლია ჩვენ წითელ-არმიელებს, რომლებიც უნდა გაეცნონ ამ გაზეთს და მისწერონ სოფელში თავისიანთ გამოიწერონ „ახალი სოფელი“. განსაკუთრებით ამ საქმეს ყურადღება უნდა მიაქციოს ჩვენმა სამხკორებმა, რომლებიც სამხედრო სამსახურის გათავების შემდეგ გახდებიან ამ გაზეთის სოფლის კორესპონდენტები.

გავავრცელოთ გაზ. „ახალი სოფელი“!

## ამხ. რაკოვსკი ჩემბერლენთან საუბარის შესახებ.

როსტას კორესპონდენტთან საუბარში თავის საუბრის შესახებ ჩემბერლენთან რაკოვსკიმ განაცხადა: „რასაკვირველია, საუბარის შინაარსის გადმოცემა მე არ შემიძლია, მაგრამ თქვენ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ რა საკითხებზე გავჩერდით ჩვენ, თუ მხედველობაში მიიღებთ უკანასკნელ დროს პრესაში გამოქვეყნებულ ცნობებს. ბალკანეთის ბალტიის ქვეყნების ამბები და ბევრიც სხვა, ნათლად ამტკიცებს იმას, რომ ბრიტანეთის მთავრობამ ითავა ერთიანი ფრონტის მოწყობა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირის საზოგადოება დაინტერესებულია იმით, რომ ნუ თუ იმოდენა ცდები და ლონისძიებანი ეკონომიური ურთიერთობის გასაძლიერებლად ამაოდ ჩაიარა? მაგრამ ამ ხმების უსაფუძვლობა აშკარა გახდა ჩემთვის ჩემბერლენთან საუბრის დროს.

რაც შეეხება „ზინოვიევის წერილს“, ჩვენ ამის შესახებ ამოწურულად ვსთვლით საკითხს დიპლომატიურად, მაგრამ ჩვენ მაინც ვაწარმოებთ საქმის გამოძიებას. ჩვენ გადაჭრით ვაცხადებთ, რომ საშინაო საქმეში ჩაურევლობა პირველი პირობაა ერთა შორის მეგობრულ ურთიერთობის დამყარებისათვის.“

## საკითხი მოკავშირეთა შორის ვალების შესახებ.

ერიოს თავმჯდომარეობით მოხდა ფინანსთა ექსპერტების (კომიის) კრება, კრება იმ დასკვნამდის მივიდა, რომ ჯერ არ შეიძლება მოითხოვონ საკითხის განხილვა მოკავშირეთ შორის ვალების შესახებ.

ამ საკითხში საფრანგეთის ფინანსთა მინისტრ—კლემანტელს მინიჭებული აქვს მოქმედების სრული თავისუფლება.

## პრინციპიალურად შეთანხმდენ ნადავლის განაწილებაში.

გავასის სააგენტო იუწყება: „ანტანტის ფინანსთა მინისტრები 10 იანვრის სხდომაზე პრინციპიალურად შეთანხმდენ კონფერენციის მიერ განსახილავ სხვა და სხვა საკითხებში“. ეს საკითხები არიან შემდეგი: 1) რურის ოლქის ანგარიშების ლიკვიდაცია იწარმოებს საფრანგეთის გეგმის მიხედვით. მთელი შემოსავლიდან დარჩენილ მილიარდ მარკას გაინაწილებენ მოკავშირეები.

2) ბელგიას უფლება ეძლევა მიიღოს 120 მილიონი ოქროს მარკა. 3) ინგლისის და ამერიკის დელეგატებს შორის მიღწეული იქნა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ამერიკას უფლება ეძლევა მიიღოს გერმანიისაგან სარეპარაციო წლიური გადასახადი, რომელიც გათვალისწინებულია დოუესის გეგმაში. 4) საფრანგეთ—ბელგიის და ინგლისის ჯარების ოკუპაციით გამოწვეული ხარჯები და სხვა გამოკლებულ იქნება პირველ რიგში გერმანიის გადასახადისაგან. ამ ხარჯების გამოკლებით სარეპარაციო ხარჯების დასაფარავად რჩება 34 მილიარდ მარკიანი თანხა, რომლისაგანაც საფრანგეთი მიიღებს 52 პრო.-ს.

## კელნის ზონის გარშემო.

## სამგლოვიარო ძაძებში.

კელნის ზონის საოკუპაციო ძალებმა აუკრძალეს გერმანიის ბურჟუაზიულ და პოლიტიკურ პარტიებს საჯაროდ საპროტესტო დემონსტრაციის მოწყობა მოკავშირეთა გადაწყვეტილების წინააღმდეგ კელნის ზონის შესახებ.

პოსტდამის გუბერნატორის განკარგულებით, 10 იანვარს პოსტდამის მთელ სახლებზე გამოკიდებულ იქნა სამგლოვიარო დროშები.

# სასამართლო ბლასკო იბანიესის წინააღმდეგ.

## ᲓᲔᲕᲜᲐ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲗᲥᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

მწერალმა ბლასკო იბანიესმა დასწერა სატირიული წიგნი „გამომჟღავნებული ალფონს მეცამეტე“ [ესპანეთის ელჩის საჩივარის გამო აღძრულ იქნა ამის გამო სასამართლო გამოძიება ბლასკოიბანიესის წიგნის გამომცემელის ფლამირიონის და მთარგმნელ-ლუვრის წინააღმდეგ. მათ ბრალდება „უცხოელ თვითმპყრობელის შეურაცყოფა“.

# მილიერანი კბილებს ილესავს.

ყოფილმა პრეზიდენტმა მილიერანმა სასტიკად გააკრიტიკა საფრანგეთის მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა და დაჰგმო მისი დათმობითი პოლიტიკა სოციალისტების მიმართ.

მილიერანმა დაჰგმო აგრეთვე საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობა.

# ერიო შეუდგა მუშაობას.

11 იანვარს ერიო პირველად გამოვიდა სახლიდან. ამ ჟამად ერიო მუშაობს კაბინეტში თავის თანამშრომლებთან.

# კომუნისტები ძლიერდებიან.

## ᲑᲣᲠᲟᲣᲐᲖᲘᲐ ᲒᲐᲜᲒᲐᲨᲡ ᲡᲪᲔᲛᲡ.

კომუნისტური პროპაგანდის გაძარ ჯვება საფრანგეთის უცხოელ მუშებს შორის შიშის ზარს სცემს ბურჟუაზიას.

გაზ. „მატენი“ მოითხოვს სასტიკ ზომებს საფრანგეთში მცხოვრებ უცხოელ მუშების წინააღმდეგ.

# საბჭოთა კავშირს არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონია რეველის აჯანყებასთან.

ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება.

საგარეო საქმეთა კომისარიატი იუწყება: „დეკემბერში შვეციის გაზეთ „აფტონბლადეტ“-ში მოთავსებული იყო საუბარი ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან. წერილი თავიდან ბოლომდის ჭორებით იყო დატენილი საბჭოთა კავშირის შესახებ, რომელსაც ბრალს სდებდენ ესტონეთის წინააღმდეგ აჯანყების მოწყობაში“.

ამის შესახებ ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ აღნიშნული წერილი ყალბია, და გამოსთქვა მტკიცე რწმენა, რომ საბჭოთა კავშირს არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონია ესტონეთის აჯანყებასთანო.

# მაროკოს აჯანყებულთა მდგომარეობა.

მაროკოდან მიღებულ ცნობით, ესპანელებმა გაგზავნეს 3.000 მხედარი რეგაიის რაიონში, რათა ხელი შეუშალონ აჯანყებულებს საომარი წყობილებისა და სურსათის მიღებაში.

# პროვაკატორ ოკლადსკის გასამართლება.

## ᲛᲘᲡᲘ ᲑᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ.

დაიწყო პროვაკატორ ოკლადსკის გასამართლება, რომელიც 7 წლის განმავლობაში (1873-1880 წ) მუშაობდა ხალხოსნების პარტიაში. ის მონაწილეობას ღებულობდა სხვა-და-სხვა ტერორისტულ შეთქმულებაში, სხვათა შორის ალექსანდრე მეორეს მიმართ ტერორისტულ აქტში, რომელიც მოაწყო ცნობილმა ჟელიაბოვმა 1879 წელს

1880 წელს ოკლადსკის მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა, რომელიც მას შეუცვალეს კატორღით. რამოდენიმე წლის შემდეგ ოკლადსკი დაადგა გამცემლობის გზას და „ოხსანიკად“) დამცველ რაზმელად) იმუშავა 40 წელზე მეტი, რისთვისაც ის ღებულობდა პოლიციის დეპარტამენტისაგან დიდ ძალ ფულს 1917 წლამდი. ოკლადსკის შავი საქმიანობის მსხვერპლი დიდია. მარტო ხალხოსნებიდან გასცა მან 60 კაცი, რომელთაგან მრავალი უკვე დასჯილ იქნა.

უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარეობს სოლცი. სახელმწიფოებრივი ბრალმდებელი არის კრილენკო, საზოგადოებრივი — ფილქს კონი. დამცველთა კოლეგიის არჩევით ოკლადსკის იცავს ოცეპი და ჩლენოვი.

# პირველი სხდომა.

პირველი სხდომა დაიწყო 11 იანვარს, საღამოს 7 საათზე. შეკითხვაზე თუ რა წოდებისაა, ბრალდებული უპასუხებს „მე ვარ მუშა, გლეხობიდან გამოსული“. ოკლადსკი ღრმად მოხუცებულია. მას უკითხავენ საბრალმდებლო ოქმს და იმ ადგილზე, სადაც ოქმში აღნიშნულია აქტი ალექსანდრე მე II მოკვლის შესახებ, ოკლადსკი დახრის თავს და წახდება ცრემლები.

ოკლადსკი ნაწილობრ სცნობს თავს დამნაშავედ. მე გავეცი ორი საიდუმლო ბინა. მე გავთქვი ადგილი, სადაც ჟელიაბოვთან ერთად ვაწყობდი ხიდის აფეთქებას მეფის მატარებლის გამოსვლის დროს, 3-4 თვე მე ვიმსახურე ჟანდარმთა სამართველოში, მაგრამ სამსახური და ჩემი კავშირი მთავრობასთან შეწყდა 1890 წელს. აი ყველაფერი რის თქმაც მე შემიძლია ამ ჟამად.

# ᲐᲓᲔᲠᲑᲔᲘᲯᲐᲜᲘ.

## ᲖᲐᲠᲐᲚᲘ ᲥᲐᲠᲑᲣᲥᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ადერბეიჯანის ნავთის ზარალი, რომელიც მიაყენა მას ქარბუქმა, უდრის ერთ მილიონ მანეთს.

## ᲛᲘᲬᲘᲡ ᲫᲕᲠᲐ.

9 იანვარს ადერბეჯანის სეისმიურმა სადგურმა (მიწის ძვრის გამომკვლევი) აღნიშნა სამი მიწის ძვრა ადერბეიჯანიდან 8 ვერსის მოშორებით.

## ᲑᲐᲛᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ.

1-ლ იანვრისთვის მთელ ადერბეიჯანში 2.400.000 ფუთი ნედლი ბამბაა დამზადებული.

## ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘ ᲔᲥᲘᲛ ᲞᲝᲚᲘᲐᲙᲝᲕᲘᲡ ᲓᲐᲮᲕᲠᲔᲢᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ.

ქ. ბაქოს ექიმთა კრილობამ მოხსენების მოსმენის შემდეგ ექიმ პოლიაკოვის დახვრეტის გამო ესტონეთში, გამოიტანა საპროტესტო რეზოლიუცია ასეთი მხეცური მოქმედების წინააღმდეგ. კრება სთვლის, რომ ესტონეთის მთავრობის საზიზღარი მოქმედება არღვევს კულტურული სახელმწიფოს უფლებრივ კანონებს.

# ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

„ჩვენი მოვალეობაა ახლა, რომ მთელი ჩვენი ენერგია ავამოძრავოთ, რათა გავაცნოთ ინგლისის მუშათა კლასს ქართველი მუშების და მთელი საბჭოთა კავშირის დიდი საქმე.“

დიდი ხანია მას შემდეგ (მგონია ეს იყო 1903 წელში), მე წავიკითხე ანდრიუ კარნეჯის თხუზულება, რომელშიაც ავტორი სცდილობდა დაემტკიცებია, რომ ამერიკის კაპიტალი, თუ ის დაიწყებს რუსეთის სამხრეთ ნაწილის ექსპლოატაციას, იქ აღმოაჩენს თავის მექას, ის მიაღწევს მწვერვალ ევერესტის სიმაღლეს თავის ფინანსიური სიძლიერის მხრივ.

ეხლა, როდესაც მე გავიარე 5.000 ვერსზე მეტი უკრაინაში, მე ხშირათ ვიგონებ კაპიტალისტების ამ დახავსებულ ფილოსოფოსს.

კარნეჯის მხედველობაში ჰქონდა ბუნებრივ სიმდიდრეთა ექსპლოატაცია მხოლოდ პირადი მიზნებისათვის, რუსეთის მუშებმა კი ამას ხელი მოკიდეს იმ აზრით, რომ დაემუშავებიათ მშობლიური მიწა საერთო კეთილდღეობისათვის.

ათვალიერებ რა დონეცის ბასეინის თვითეულ რაიონს, გაკვირვებაში მოდიხარ კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა იმ კვანძით, რომელსაც აქ აქვს ადგილი და მოწამე ხდები იმ განუწყვეტელი ბრძოლისა, რომლის მიზანია აღმოფხვრილი იქნეს კაპიტალისტური წესწყობილებიდან დარჩენილი ნაშთები ფიზიკური და სულიერი დეფექტებისა. აქ ხედავთ, თუ როგორ საშინელ პირობებში ხდებოდა მუშების ექსპლოატაცია კაპიტალისტების მიერ მეფის რეჟიმის დროს.

აქ ხედავთ იმ ნგრევისა და აოხრების კვალს, რომელსაც ახდენდენ თეთრები, კონტრრევოლიუციონერები და აქ შეიძლება ნათლათ დაინახოთ ის გმირული, გიგანტიური მუშაობაც, რომელსაც აწარმოებდა საბჭოთა ხელისუფლება. მან, ამ ხელისუფლებამ, გაფანტა და მოსპო ყაჩაღების ბანდები. ეხლა კი ირჩენს იმ ჭრილობებს, რომლებიც მიაყენეს ამ მშვენიერ ქვეყანას.

კაპიტალიზმის ბინძური ნაშთები აიძულებენ ახალ მეპატრონეებს, რომლებიც თანდათანობით სწმენდენ ნიადაგს კაპიტალიზმის ნანგრევებისაგან და ახალ რევოლიუციონურ შენობას აგებენ, კოლოსალური მუშაობა გასწიონ ქვეყნის აღსადგენათ.

აღსანიშნავია საბჭოთა რესპუბლიკის ნიჭი და მიღწევები, და აგრეთვე ის დისციპლინა, რომლითაც ის ახდენს თავისი არმიების მობილიზაციას ძველის ნაშთებთან საბრძოლველათ.

სიტყვები არ გვყოფნის, რომ ავწეროთ კაპიტალიზმის უდიდესი დანაშაული, რაც გამოიხატება მის მიერ დატოვებულ მემკვიდრეობაში: უწმინდურობა უსუფთაობაში, უმეცრებაში, ცრუმორწმუნოებაში.

შემდეგ პერსელი დაწვრილებით ეხება გროზნოს, ბაქოს სტეროვკას, სადგურ შატურკას, ზემო ავჭალის დიდ აღმშენებლობითი მუშაობას და აღნიშნავს თუ რა შეუძლია გააკეთოს მშრომელის მარჯვენამ, თუ კი მას საშუალება აქვს თავისუფალი შრომა მშრომელთა კეთილდღეობას მოახმაროს.

—

მე, ამბობს პერსელი, — ძალიან ცოტა დრო და ადგილი მაქვს ამჟამად იმისათვის, რომ შევჩერდე დაწვრილებით დეტალებზე. შემიძლია ვსთქვა მხოლოდ ერთი რამ: ჩემზე ულრმესი შთაბეჭდილება მოახდინა იმ განსაცვიფრებელმა შედეგმა, რომლებსაც მიაღწია კერძოთ რუსეთმა ჩემი პირველი მგზავრობის შემდეგ 1920 წელში.

პირდაპირ ძნელია იმის წარმოდგენა, თუ ენერგიის როგორი კოლოსალური რაოდენობა მიდიოდა კაპიტალისტური ქვეყნების ხან აშკარა და ხან კიდევ მალულ-ფარული და ლაჩრული იერიშების მოგერიებაზე, სიმშილობის დროს დღე არ გავიდოდა ისე, რომ კაპიტალისტურ პრესას არ გაელაშქრებია საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, სისტემატიური ვერაგული კამპანია არ ეწარმოებია. ეს ვაჟბატონები ასეთი საშუალებებით ფიქრობდენ საბჭოების ხელისუფლების დამხობას. სულელები! მათ დაავიწყდათ, რომ თავისი ულტიმატუმით ხელს უწყობდენ საბჭოების უდიდეს პოპულიარობას. სწორი ცნობები რუსეთის შესახებ თანდათან იჭრებოდენ საზღვარგარეთ.

ინგლისის მუშების გამგზავრება საბჭოთა კავშირში ინფორმაციის მუდმივი—ამოუწურავი წყარო მთელი ცილისწამების, მთელი სიყალბის წინააღმდეგ და მტრების სამხილებლათ.

მე გავემგზავრე საქართველოში, რომელიც არის ევროპის კაპიტალისტების და თუ შეიძლება ასე ითქვას, კვაზი-სოციალისტების განსაკუთრებული ყურადღების საგანი. მე ჩავედი საქართველოში და სულ იმის ფიქრში ვიყავი, რომ გამომერკვია. დარჩა თუ არა თუ გინდ ერთი ქართველი ცოცხალი. უკანასკნელი თვეების განმავლობაში ინგლისის ისე თავგამოდებით აშკარავებდა თავის „სიყვარულს“ საქართველოსადმი, რომ ყოველ დღე ჩვენ გვაწვდიდენ ცნობებს აჯანყების, შეთქმულების, ტანჯვა-წამების, დახვრეტის, მკვლელობის, ყაჩაღობის და სხვ. შესახებ, რასაც ადგილი ჰქონდა თითქოს საბჭოთა საქართველოში. ინგლისის გაზეთები თვალსაჩინო ადგილზე ბეჭდავდენ ათასგვარ აღმაშფოთებელ საშინელ ცნობებს.

მათ თვითონ მშვენივრათ იცოდენ, რომ ყველაფერი ეს სიყალბეა, მაგრამ მათ არ აქვთ სხვა იარაღი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

გრანდიოზული დემონსტრაცია, რომელსაც ადგილი ჰქონდა თბილისში 3 დეკემბერს და რომელიც სამ საათზე მეტი გაგრძელდა, საუკეთესო პასუხია როგორც ადგილობრივ, ისე საზღვარ-გარეთელ მოლაყბეებისათვის. კაცები და ქალები, ქალიშვილები და ვაჟები, ყველა მუშურ ტანთსაცმელში, მიდიოდენ სრული წესრიგით, სიმღერით და ძახილით; მათი დროშები, მათი სახეების გამომეტყველება ლაპარაკობდა, რომ საქართველოსათვის მოპოვებული საბჭოთა ხელისუფლება დაცული და შენარჩუნებული იქნება ყოველგვარი საშუალებებით.

საქართველოს ვაჭრებო და მემამულეებო, საქართველოს ყოფილო ბატონებო, წამოდექით, თუ შეგიძლიათ, და სთქვით სიმართლე! იცით თუ არა თქვენ, რომ თქვენი ძმები საზღვარ-გარეთ სტყუიან?

რატომ სდუმხართ თქვენ? მე თვითონ გავცემ თქვენ მაგივრათ პასუხს.

მუშებმა თქვენ ხელიდან გამოგლიჯეს ძალა-უფლება. მუშებმა თავისთვის ააგეს კარგი ბინები, შექმნეს მსხვილი და ძლიერი წარმოებები და მთლიანათ სარგებლობენ თავისი ხვედრი წილით ქვეყნის ცხოვრებაში. ისინი ემუქრებიან თქვენს მოგებას, ისინი უფლებას აღარ გაძლევენ წინანდურათ გაყვლიფოთ მუშები, აი თქვენი მწუხარების მიზეზი.

როგორც წევრი ინგლისის მუშათა კლასისა, მე ვამაყობ იმით, რომ საშუალება მაქვს სოლიდარობის გრძნობა გამოუცხადო ქართველ მუშებს, რომლებმაც, მიუხედავად ცილისწამებისა და სიყალბისა, მიუხედავად თავისი მტრების შარლატანობისა და გაიძვერობისა, შესძლეს გაერეკათ თავისი ჩაგვრელები და ექსპლოატატორები.

ჩვენი მოვალეობაა ეხლა მთელი ჩვენი ენერგია ავამოძრაოთ, რათა გავაცნოთ ინგლისის მუშათა კლასს ქართველი მუშების და მთელი საბჭოთა კავშირს დიადი საქმე.

გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს და დეე გაეწიოს მას ჩვენის მხრიდან უდიდესი დახმარება“!

ა. პერსელი.

ლონდონი



# ყოფილი წითელ არმიელის წერილი.

**პირველი ლეგ. საკავშირო გუნდის არმიელებს და მეთაურებს.**

ძვირფასო ამხანაგებო, გისურვებთ ყოველთვის შეუპოვრად მდგარიყოთ საბჭოთა ხელისუფლების სადარაჯოზე.

გისურვებთ შეგეძინოთ იმდენი ცოდნა, რომ სხვა წითელ არმიელებთან ერთად გამარჯვებული გამოსულიყო საბჭოთა აღმშენებლობის საქმეში.

მე იმედი მაქვს ამხანაგებო, რომ თქვენ ერთის წუთითაც არ დაივიწყებთ თქვენს დიდ მოვალეობას. თქვენ ყოველთვის მზად უნდა იყოთ, რომ მოუსპოთ ჩვენს მრავალ რიცხოვან მტრებს სამოქმედო უნარი.

გახსოვდეთ ის, რომ თქვენ მუშებისა და გლეხების შვილები ხართ, რომელთა ინტერესების დასაცავადაა მოწოდებული ის ხელისუფლება, რომელსაც თქვენ ემსახურებით. მაშ გაამაგრეთ და განამტკიცეთ მისი ძლიერება.

აქვე მინდა მადლობა გამოუცხადო თქვენი გუნდის და ჩემს ყოფილ უფროს ამხ. ამხ. ადამიას, სამხკომს და ლეგთავს, რომლებიდანაც ბევრი რამ შევიძინე გუნდში 8-თვის სამსახურის განმავლობაში.

ამ ამხანაგების საშუალებით შევსძელი გამეგრძელებია იმის შესწავლა, რაც მე ასე ძლიერად მაინტერესებდა, იმედი მაქვს ამხანაგებო, შემატყობინებთ ჩვენი გუნდისა და ლეგიონის ყოფა-ცხოვრებას, რაც ჩემთვის მეტის მეტად საინტერესოა.

ამხანაგური სალამით.

ყოფ. წ. არმ. აგანეზოვი.

ქ. პეტროგრადი.

# კვლავ ამუშავდა ჩვენი სკოლა.

გასულ კანიკულებისთვის ჩვენი მეთაურთა გაერთიანებული სკოლიდან გაშვებული იქნენ სოფლებში ორი კვირის ვადით კურსანტების 50 პროც. შვებულებაში მიმავალ ამხანაგებს მრავალი დავალებები მიეცათ სოფლად მუშაობისა და იქაური ცხოვრების გამორკვევის შესახებ. ამხანაგებს სოფლებში უნდა გაეკეთებიათ მოხსენებები ტერიტორიალური ნაწილების მნიშვნელობისა და დანიშნულების შესახებ. ამას გარდა მათ დაურიგდათ აგრეთვე რემედასის საზოგადოების მიერ გამოშვებული ფურცლები სოფლად გასასაღებლად.

4 იანვარს ყველა კურსანტები დაბრუნდენ შვებულებიდან და კვლავ შეუდექით სკოლაში მეცადინეობას. იმედი გვაქვს ეს ამხანაგები უფრო მეტი ენერგიით შეუდგებიან ყოველგვარ საქმიანობას და დაგვანახვებენ, რომ აღნიშნულმა შვებულებამ დიდი სარგებლობა მოუტანა მათ.

საჭიროა ამხანაგებმა გაგვიკეთონ მოხსენებები თავიანთი სოფლების მდგომარეობის შესახებ, რაც ჯერ არ უქნიათ, და გაგვაცნობენ ყველაფერს, თუ რა უფრო აწუხებს ჩვენს გლეხობას და რა არის მათთვის პირველ რიგში აუცილებელი საჭირო.

სამხკორი პ. ახათიანი.

# კულტურულ ფრონტზე.

**პირველი ლეგ. მესამე ასეული.**

3 მე ასეულში დაარსებულია დრამწრე, რომელიც პირნათლათ ასრულებს თავის მოვალეობას.

8 იანვარს წრის მიერ ლეგ. კლუბში დადგმული იქნა წარმოდგენა. მოქმედების დაწყებამდე, კლუბის უფროსი ამხ. სიხარულიძე გამოვიდა მისასალმებელი სიტყვით. იგი თავის მოკლე სიტყვაში შეეხო წითელ ჯარის კულტურულ წინსვლას და აღნიშნა მისი ამ დარგში ენერგიული მუშაობა. ამხ. გულწრფელად მიესალმა აგრეთვე 3-მე ასეულის მთელი შემადგენლობას და ურჩევა მათ, რომ მომავალში უფრო გაორკეცებული ენერგიით გამოსულიყვნენ კულტურულ ასპარეზზე.

შემდეგ დაიწყო პიესა. დადგმულ იქმნა დრამა „საშინელი შურის ძიება“ და კომედია „მეც შენა და ეს კი მე“ წარმოდგენა დაბოლოვდა აზიურ ცეკვით. დამწრე საზოგადოება ძლიერ კმაყოფილი დარჩა. ამავე დღეს 3-მე ასეულის მიერ გამოშვებულ იქნა ორკვირეული კედლის გაზეთი „წინმავალი“.

სამხკორი ტაბატაძე.

# დავაარსეთ ქიმიის მოყვარულთა უჯრედი.

**2-რე დივ. ცალკე საკავშირო ასეული.**

3 იანვარს ასეულის ერთი მეთაურთაგანის ამხ. კვანტალიანის ინიციატივით მოხდა ასეულის შემადგენლობის კრება. კრებაზე გაკეთებული იქნა მოხსენება ქიმიის მოყვარულთა საზოგადოების მნიშვნელობის შესახებ. ამხ. მოკლედ გააშუქა თავისი თემა და შემდეგ მოუწოდა კრებას, რათა თითეული არმიელი ჩაწერილიყო ქიმიის მოყვარულთა საზოგადოების წევრად. კრებამ ერთხმად მიიღო ამხანაგის დადგენილება და აღუთქვა, რომ ასეულში არ დარჩება ერთი კაცი, რომ არ ჩაეწეროს აღნიშნულ საზოგადოებაში, რადგან ამას მოითხოვს თითეული პატიოსანი საბჭოთა მოქალაქის მოვალეობათ.

კრებამ ამოირჩია ქიმიის მოყვარულთა საზოგადოების უჯრედში სამი ამხანაგი და ორი მათი კანდიდატები, რომლებსაც დაევალა ქიმიის მოყვარულთა საზოგადოების ხელმძღვანელობა ასეულში.

მადლობის ღირსია უპარტიო მეთაური ამხ. კვანტალიანი, რომლის თაოსნობითაც საფუძველი ჩაეყარა ჩვენს ასეულში ამ დიად საქმეს. მეტი ჩვენს რიგებში ასეთი მეთაურები.

სერმანია.

# 1-ლ ლეგიონის კამენდანტის საყურადღებოთ

ლეგიონის პურის საცხობში ძლიერ ცივა, ვინაიდან ფურნეს კარები არა აქვს. სიცივეები ხელს უშლის ცომის ამოსვლას და, რასაკვირველია, ცუდათ ამოსული ცომიდან ცუდათ გამომცხვარ პურს მივიღებთ.

ეს რომ არ მოხდეს ასე, ამიტომ საჭიროა ფურნეში სითბო იყოს.

ერთ თვეზე მეტია, რაც ამხ. კამენდანტს მივმართე კარები გაეკეთებია, მაგრამ არაფერი ეშველა კარების გაკეთებას. ეხლა კიდევ ვსთხოვ ამხ. კამენდანტს გააკეთოს ფურნეში კარები.

პურის გასაცრელიც არა გვაქვს. შეგვიკეთეთ და მოგვეცით რაც რომ საჭიროა.

წ. არ. ბეთლეველი.

# მე-6-სე ტერლეგიონის მე-6-სე ასეული.

27 დეკემბერს ქ. ლიუქსემბურგის მუშათა კლუბში შესდგა 1900, 1901 და 1899 წლებში დაბადებულთა საზეიმო სხდომა. დაესწრო 500 კაცი. ეროვნებით: ქართველები, თათრები და გერმანელები.

სხდომა გახსნა ა. ლ. კ. კავშირის სამაზრკომის მდივანმა ამხ. შენგელიამ, რომელმაც ვრცლად დაახასიათა დღევანდელი ს. ს. რ. კავშირის შინაური და საგარეო მდგომარეობა და აღნიშნა მსოფლიო ბურჟუაზიის საომარი სამზადისი.

დასასრულ ამხ. ამბობს- ჩვენც უნდა ვემზადოთ, ვისწავლოთ, როგორც სამხედრო, აგრეთვე, პოლიტ-ცოდნა, დავირაზმოთ ერთად წით. დროშის ქვეშ, მსოფლიო პროლეტარიატთან ერთად.

შემდეგ მოხსენება გააკეთა ამხ. გრიგოლიამ, რომელმაც დაწვრილებით დაახასიათა ტერიტორიალური სისტემა და მისი დადებითი მხარეები.

ამხ. მიერ დაწვრილებით იქნა აღწერილი დღევანდელი წით. არმიელების ყაზარმული ცხოვრება, რის შემდეგ ყველას აღეძრა სურვილი ტერ-ნაწილებში შესვლისა; აღსანიშნავია ის მოვლენა, რომ ათეულებით დარაზმულნი ამხ. მოდიოდენ და ითხოვდენ მოხალისედ შესვლას ტერ-ნაწილებში.

თათრულ ენაზე მოხსენება გააკეთა კ. კავშირის სამაზრო აგიტ-პროპის გამგემ ამხ. მუსაევმა, რომელმაც დაახასიათა ყაზარმის აღმზრდელობითი როლი.

ბოლოს მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: მოვისმინეთ რა აღნიშნული მოხსენებები, ფიცსა ვსდებთ, რომ შევამჭიდროებთ მშრომელთა რიგებს წითელი დროშის ქვეშ და სასტიკად ვიბრძოლებთ ყოველგვარი ცდების წინააღმდეგ, რომელიც კი იქნება მომართული მშრომელთა ინტერესების შესაბლალავად.

გაუმარჯოს ძლევა-მოსილ წ. არმიას!

გაუმარჯოს კომინტერნს და მის თავმჯდომარეს ამხ. ზინოვიევს!

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას!

ლადო კოტიანეთელი.

# საერთო კრება.

**4-ხე ლეგ. 2-რე ათასეულში.**

ამ რამოდენიმე დღის წინად ხსენებულ ლეგიონის 2-რე ათასეულში შესდგა მთელი შემადგენლობის გაერთიანებული კრება. დაესწრენ ათასეულის უპარტიო წითელ არმიელებიც. კრებაზე გაკეთებულ იქნა მოხსენებები და გაირჩა შემდეგი საკითხები: რა უნდა გააკეთოს თითეულმა ჩვენთაგანმა და როგორ უნდა დაუკავშირდეთ სოფლის გლეხობას, სამკორისა და დამხმარე ჯგუფის წევრების ამორჩევა, ათასეულის საერთო მდგომარეობა და მისი მუშაობა და სხვა.

გლეხობასთან დაკავშირების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ახობაძემ. კრებამ დაადგინა, რომ ათასეულის მთელი შემადგენლობა მზად არის ყოველგვარი დახმარება გაუწიოს გლეხობას და აწარმოოს მათ შორის, როგორც კულტურულ-პოლიტიკური, ისე სხვა საქმიანობა.

სხვა საკითხები განმარტა ამხ. გაბუნიამ, საიდანაც გამოირკვა, რომ ათასეულის ფარგლებში ყოველგვარი საქმიანობა ნაყოფიერად მიმდინარეობს. ადგილობრივი ხელისუფლებასაც დიდი დახმარება გაუწევია ათასეულისათვის. კრებამ დაადგინა ამის გამო ზამოეცხადოს მას ათასეულის სახელით მადლობა.

სამხკორი ლ. სისაური.

# მეოთხე ასეულის ცხოვრებიდან.

პირველ ლეგიონის მეოთხე ასეულის ხელმძღვანელები წითელ არმიელების გაწრთვნის საქმეში არ შურავენ თავიანთ ძალ-ღონეს. დიდის ენერგიით აწარმოებენ მათში მეცადინეობას, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ დარგში.

ხელმძღვანელებისათვის არ არსებობს განსაზღვრული საათები მეცადინეობისათვის. ისინი სულ მათთან არიან და უხსნიან წით. მოლ. მათთვის გაუგებარ საგნებს და საკითხებს. ცდილობენ, რომ მეოთხე ასეულის არმიელები არ ჩამორჩენ დანარჩენ ნაწილებს.

ხელმძღვანელების მეცადინეობით ასეულში მოეწყო მშვენიერი ლენინის და სამხედრო კუთხეები, სადაც არის მოთავსებული ყოველგვარი სამხედრო იარაღები და სხვა და სხვა ტაბულები და სხვა.

აგრეთვე მოაწყვეს საჩვენებელი ხელოვნური ბრძოლის ველი თავის სანგრევებით და მტრის შემაფერხებელ ქაჯური ღობეთი, რითაც წითელ არმიელებს ნათელი წარმოდგენა ეძლევათ ბრძოლის ველზე.

ყოველივე ეს მნახველებზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. შამოიღეს აგრეთვე სხვა და სხვა გასართობები, რითაც წითელ არმიელები თავისუფალ დროს ერთობიან.

იმედია, მომავალშიაც ამხ. ამხ. ხელმძღვანელები არ დაშურავენ თავიანთ ენერგიას წითელ არმიელების გასათვითცნობიერებლად.

სამხკორი ივ. ბერელაძე.

# გამოკვეყნებულ ნაკლულევანებებს ყურადღება არ ექცევა.

მესამე ლეგიონის ნაკლულევანებებზე არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, მაგრამ სიტყვები-სიტყვებად რჩებიან და მათთვის არავინ იწუხებს თავს.

მაგალითად, ლეგიონს არც ამ ჟამად ყავს კბილის ექიმი, რომელიც დიდ აუცილებლობას წარმოადგენს. ამას თავი დავანებოთ. ხშირად მიგვითითებია იმაზე, რომ მთელ ლეგიონს მოსდის თითო ცალი „კომუნისტი“, „ზარია ვოსტოკა“ და „მუშა“. ეს არაა საკმარისი. გაზეთი „წითელი ვარსკვლავი“ თუ თავზე საყარად აქვს ლეგიონს (სხვათაშორის, განსაკუთრებული განკარგულებით იძულებული ჰყვეს ლეგიონის ყველა მეთაურები გამოეწერათ ეს გაზეთი) რა დააშავა ჩვენმა „წითელმა არმიელმა“-?. 20 დეკემბრიდან სრულიად არ მიუღია ეს გაზეთი ლეგიონს. უიმისოდ კი ვერ გავსძლებთ. საჭიროა ყურადღება მიაქციონ ამ საქმეს.

ლეგიონში ჯერ-ჯერობით არსებობს ექვსი ლენინის კუთხე. ლოზუნგებით და პლაკატებით კუთხეები მშვენივრად არიან მოწყობილი, მაგრამ ლიტერატურა არა გვაქვს. საჭიროა მისი შეძენა.

ამას გარდა ჩვენთან არიან ისეთი წითელ არმიელები, რომლებმაც არ იციან არც ქართული და არც რუსული. თავის დროზე გამოტანილი იქნა დადგენილება, რათა მათთვის გამოწერილი ყოფილიყო სომხური გაზეთები, მაგრამ არც ამისთვის მიუქცევიათ მას აქეთ ყურადღება.

მარტო დადგენილებების გამოტანა, ნაკლულევანებებზე წერა და სხვა უსაფუძვლო იქნება, თუ ისინი საქმით არ იქნენ გამოსწორებული.

მიაქციეთ ყურადღება.

პარტკორი ტატიანელი.

# პასუხად ამხ. ბოკოს.

გაზეთ „წითელ არმიელის“ 10 იანვრის № 6 მოთავსებულია წერილი პირველი ლეგიონის მეორე ასეულის წით. კუთხის გამგის შესახებ, უსაფუძვლოთ უნდა ჩაითვალოს. ამხ. ბოკმა ძალიან კარგათ იცის, თუ როგორ ენერგიულათ მუშაობს კუთხის გამგე და ამასვე ამტკიცებს მისივე სიტყვები, როდესაც ამბობს, რომ არ კმარა მარტო საუბრების ჩატარება წითელ არმიელებთან ამა თუ იმ საკითხებზე.

ამხანაგო ბოკო, არც ის კმარა, რომ წითელი კუთხე მარტო პლაკატებით და ლოზუნგებით იყოს მორთული, ხოლო კი არაფერი კეთდებოდეს.

მეორე ამხ. ბოკმა კარგათ იცის, თუ ვის ხელში იმყოფება წითელი კუთხის თანხების ნაწილი, ხოლო ერთი ნაწილი კი თვით ამხ. ბოკოს აქვს და ჯერაც არ გადაუცია წითელ კუთხისათვის.

მ. უფლისაშვილი.

# ამბები სოფლებიდან.

**იურიდიული დახმარება გლეხებს.**

ქიათურასა და საჩხერეში მოწყობილია იურიდიული ბიუროები, საიდანაც ადგილობრივ გლეხებს ეძლევათ უფასო იურიდიული რჩევა-დარიგება.

**გლეხთა სახლი დუშეთში.**

დუშეთის აღმასკომმა გადასცა სამაზრო გლეხკომს სახლი, ჩამოსულ გლეხების თავშესაფარისა და დასასვენებელ ბინების მოსაწყობათ.

**გლეხკომის რეორგანიზაცია.**

სათემო სისტემის შემოღების გამო გარე კახეთში მოხდა გლეხკომების გადახალისება. ამჟამად არჩეულია 8 სათემო და 23 სასოფლო გლეხკომი.

**ბაღის გადაცემა.**

დუშეთის აღმასკომმა გადასცა ადგილობრივ ტეხნიკუმს იოსელიანისეული ბაღი, სანიმუშო ცდების მოსახდენათ.

**ტრაქტორების შეძენა.**

დუშეთის სამაზრო აღმასკომმა დაადგინა მულანში „ვოლხოზიდან" შეიძინოს 4 ცალი ტრაქტორი, 2 მაზრის მაღლობ ადგილებისათვის და 2 ვაკე ადგილებისათვის.

**გლეხკომების საწყობები.**

შორაპნის მაზრის გლეხკომებს გახსნილი აქვთ პირველი მოთხოვნილების საგნის საწყობები: ქიათურაში, ზესტაფონში, ჩხარში, საჩხერეში, მოლითში და ძირულაში.

**გლეხების შუამდგომლობა.**

სოფ. არღუნის მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს დუშეთის აღმასკომის წინაშე სოფელში სკოლის გახსნის შესახებ. აღმასკომი მათ შეჰპირდა დახმარებას.

**ბამბის ს ფასურად—პურის დარიგება.**

ცეკავშირმა დაურიგა ყარაიაზის გლეხებს მათი მოთხოვნის თანახმათ პური შესყიდული ბამბის საფასურათ.

**ხილის გაგზავნა.**

გორის სამაზრო აღმასკომის ადგილ. მეურნ. განყოფილებამ გაგზავნა მოსკოვში 2 ვაგონი ხილი.

# სამხედრო ტრიბუნალი

10 იანვარს სამხედრო ტრიბუნალმა ამხ. ენუქიძის თავმჯდომარეობით განიხილა ქართულ მეთაურთა სკოლის სამნეო ასეულის წ. მ. გრიგოლ ზაქარიას-ძე დანიანცის საქმე მას ბრალი ედება ორჯერ დეზერტირობაში და სახაზინო ქონების გაფლანგვაში. სასამართლოს სხდომაზე გამოირკვა შემდეგი: დანიანცი ყოფილა გაწვეული სამხედრო ბეგარის მოსახდელათ გ. წ. ივნისის რიცხვებში, სადაც სამხედრო მიმღებ კომისიის მიერ მას მისცემია 10 დღის შვებულება ოჯახური საქმეების მოსაგვარებლათ, რომლის შემდეგ უნდა გამოცხადებულიყო ნაწილში გარდაგზავნით. ბრალდებული დანიანცი არ გამოცხადებულა და განაგრძობდა სამხედრო სამსახურის თავის არიდებას, სანამ არ იქნა შეპყრობილი და გარდმოგზავნილი ქართულ შეერთებულ სკოლაში გ. წ. 21 ივლისს. ბრალდებულ დანიანცმა დაყო რამოდენიმე დღე სკოლაში და გ. წ. 1 სექტემბერში ხელმეორედ გაიქცა ნაწილიდან და თან წაიღო მასზე სახმარად გაცემული სახაზინო ნივთები. დანიანცი ხელმეორედ იქნა შეპყრობილი გ. წ. 29 სექტემბერს და გადმოგზავნილი თბილისის საგარნიზონო გაუპტვახტში. ბრალდებულს არ აღმოაჩნდა სახაზინო ნივთები. ბრალდებულმა იცნო თავი დამნაშავეთ წაყენებულ ბრალდებაში და განმარტა, რომ დეზერტირობა მან ჩაიდინა მისთვის, რომ შვებულების მიღების დროს ეგონა თავის თავი სრულიად თავისუფალი.

მეორედ ნაწილიდან გაიქცა ამხანაგების გაბრიყვებით. რაც შეეხება სახაზინო ნივთებს, ასეთები მას წაართვეს ყაჩაღებმა. სასამართლომ დამტკიცებულათ სცნო მასზე წაყენებული ბრალდებები და მიუსაჯა დანიანცს დეზერტირობისათვის ხუთი თვე თავისუფლების აღკვეთა გამასწორებელ სახლში მოთავსებით და 10 მანეთის ღირებულების კონფისკაცია ს. ს. კ. 28 მ. შეფარდებით. სახაზინო ქონების გაფლანგვისათვის თავისუფლების აღკვეთა გამასწორებელ სახლში მოთავსებით ორი თვის ვადით.

საბოლოვო სასჯელათ დაუტოვა ხუთი თვე გამასწორებელ სახლში მოთავსება და 10 მანეთის ქონების ღირებულებით კონფისკაცია.

გ—ნია.

# წერილი რედაქციის მიმართ.

**ამხ. რედაქტორო!**

ნება მომეცით თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით პასუხი გავსცე ამხ. „დურბინდს" გაზ. „წითელ არმიელის" № 6 ში მოთავსებულ კორესპონდენციაზე.

ამხანაგი ეხება რა სურსათსანოვაგის გაცემა პირველ ლეგიონის საბინადროში, სწერს თითქოს პირველ რიგში ვაძლევდე საუკეთესო ხორცის ნაჭრებს ხელზე მიმღებთ და შემდეგ კი ნაყარ-მუყარს ლეგიონის სამზარეულოს, და ვითომ არა ერთხელ ვყოფილვარ ასეთი საქციელის გამო გაფრთხილებული, ეს არ შეეფერება სინამდვილეს.

საბინადროში ზემოხსენებულ მოვლენას ადგილი არ ქონია. ლეგიონში ხორცი მოვა თუ არა ამხ. საკანტროლო კომისიის წევრის, სამზარეულოს ზედამხედველის, „არტელშჩიკის" და სამზარეულოს მორიგის თანდასწრებით ხორცი იწონება და ეძლევა პირველ რიგში ლეგიონის სამზარეულოს, შემდეგ კი მეორე დღეს —ხელზე მიმღებთ, რასაც დაამოწმებენ ზემოხსენებული ამხანაგები. კარგი იქნება ამხ. „დურბინდს" თვით შემოეხედა საბინადროში და დარწმუნებულიყო ამაში ვიდრე გაზეთს მიაწვდიდა ყალბ ცნობებს და არევ-დარევას შეიტანდა წითელ არმიელებში.

მებინადრე 1-ლ ქართ. მსრ. ლეგიონის ქუქულაშვილი.

სამზარეულოს ზედამხედველი სანიშვილი.

„არტელჩიკი" წით. არ. კალანდია.

საკანტროლო კომისიის წევრი თავბერიძე.

უმწყობრო გუნდის „არტელჩიკი" წით. არმ. ბოჭორიშვილი.

# სამხედრო საქმე

## მძიებელის მოძრაობის წესი.

მძიებელმა ყოველთვის უნდა ერიდოს ღია ადგილების გავლას, სანამ წინასწარ დაათვალიერებდეს მოფარებულ ადგილიდან, მაგალითად, ტყიდან, სოფლიდან და სხვა. მას შემდეგ, რაც ის დარწმუნდება რომ გასავალი ადგილი თავისუფალია, შეუძლია წინ წაიწიოს.

როდესაც ის მიუახლოვდება ასეთ ადგილს, რომელიც მისი აზრით შეიძლება მტრის მიერ დაკავებული იყოს უნდა იმოქმედოს ისე, როგორც მართლაც დაკავებული იყოს.

მტრის აღმოჩენისათვის უნდი მიმართოს შემდეგ ილეთს. როდესაც მიუახლოვდება საეჭვო ადგილს, უცებ შეჩერდეს უნდა მიიღოს ისეთი სახე, რომ ვითომც ხედავს მტერს, დაიწყოს ხელებით ნიშნება და სხვა.

მტერი უმეტეს ასეთ შემთხვევაში თავის თავს გასცემს ან სროლით ან დასტოვებს თავის ადგილს.

როდესაც დაგევალებათ დასმენის უფროსთან წაღება, მართებს ზედმეტი სიფრთხილე, ვინაიდან მტერი ხშირათ ეშმაკობას მიმართავს, მზვერავებს ახლო მიუშვებს, რომ შემდეგ დაიჭიროს დასმენა.

არადროს არ უნდა იმოქმედოთ განცალკევებულათ, ამხანაგთან შეუთანხმებლათ არადროს მარტო არ შეხვიდეთ შენობებში, ბოსტნებში, ბაღებში, თავლებში და სხვაგან.

ყოველთვის უნდა ერიდოთ ისეთ გზებს, რომლებიც ერთი მხრივ შეზღუდულია სალი კლდეებით და მეორეს მხრივ გაუვალი მდინარით.

ნუ ივლით ისეთ ადგილებზე, სადაც ბევრი მავთულ-ხლართია, უკანასკნელი დიდ დროს წაგართმევს.

თუ ცხენებზე მოქმედობთ, ჩამოქვეითების დროს, ცხენი ისეთ ადგილზე დატოვოთ, რომ ადვილათ შეიძლებოდეს მიგნება.

მტერთან მიახლოვებისას ეცადეთ რომ მზე თვალებში გიცქერდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი ფიგურა მტრისათვის მეტათ თვალსაჩინო იქნება.

ერიდეთ ალმაცერ მოძრაობას მტრის მახლობლათ.

არ შეხვიდეთ ისეთ შეზღუდულ ან შემოღობილ ადგილში სანამ წინასწარ არ გამონახავთ საიმედო გამოსავალს.

თუ შეგხვდეს ღობეზე ამოფარება, მოიხადეთ ქუდი და დაკიდეთ მოშორებით, ამით აიშორებთ რამოდენიმე მტრის მიერ გამოსროლილ ტყვიას.

მ. გ.

# სამნეო დარგის საკითხები.

**მოსპეთ ზედმეტი საკანცელარიო მიწერ-მოწერა.**

შემჩნეულია საკანცელარიო მიწერ-მოწერისადმი ზედმეტი ყურადღება და ერთგულება. ხშირია შემთხვევები იმ უბრალო საკითხზე, რომელიც შესაძლებელია გადიჭრას 5 წამის განმავლობაში ან პირადად ძოლაპარაკებით ან კიდევ ტელეფონით, მიწერ-მოწერას კი ჩვენ ვამდომებთ ასჯერ უფრო მეტ დროს, ვხარჯავთ ქაღალდს, მელანს და ბოლოს აღძრული საკითხი ისე იხლართება, რომ მასში გარკვევა ძნელია.

მიწერ-მოწერა სწარმოებს არა მარტო რომელიმე ჯარის ნაწილიდან არმიის ან დივიზიის დაწესებულებებთან, არამედ თვით ერთეულშიაც. რით აიხსნება ყველა ეს? იმით რომ წერის მოყვარულნი არ არიან გაცნობილნი არსებულ კანონებთან და არც აქვთ საკუთარი ინიციატივა. არმიის ცხოვრების ყოველ-გვარ დარგში საკმარისი ბრძანებები და განმარტებები გამოსული, საჭიროა მხოლოდ ყურადღებით წაკითხვა და შემდეგ ერთეულის ცხოვრებაში გატარება, იმ უფლებების მიხედვით, რომ ლითაცაა აღჭურვილი თვითეული თანამდებობის სამხედრო პირი. იმის მაგიერ, რომ შესწავლილი იქნას არსებული კანონები და მის ფარგლების მიხედვით გამოიჩინონ საკუთარი ინიციატივა, ბევრნი ამჯობინებენ, წვრილმან საკითხზე, თავის მოქმედების პასუხისმგებლობა დააკისრონ უფროსის მიერ ხელმოწერილ ქაღალდზე.

ამნაირი მუშაობა ცნობილია, როგორც ცენტრის, აგრეთვე არმიის სამმართველოს მიერ უკარგისად, რისთვისაც კავკასიის წითელ დროშოვან ლაშქრის მომარაგების უფროსი თავის 8 იან. 1925 წ. №378 ცირკულიარით გვატყობინებს: „ყველა ზედ-მეტ ხასიათის მიწერ-მოწერა იქმნება დატოვებული არსებითათ განუხილველი და უშედეგოდ, ხოლო ჯარის ნაწილნი კი, რომელნიც იქმნებიან შემჩნეულნი არა საჭირო ქაღალდების ქრონიკულ წერაში-იქმნებიან მიცემულნი პასუხის გებაში, როგორც არა თავვისანნი.

ასეთ ზომას უნდა მივეგებოთ. უნდა გვაინტერესებდეს ცოცხალი საქმე. ჩვენს მოქმედებას უნდა საფუძვლად დაუდოთ კანონი და არ უნდა ვეფარებოდეთ მრავალ-ფეროვან, უსისხლო, არავისთვის საჭირო მიწერ-მოწერას.

ს. შაკუნი.

ამხ. შაკუნის წინა ერთ ერთ წერილში გამოტოვებულია ერთი მნიშვნელოვანი ადგილი: „ყველა ის ნივთები, რომელიც წითელ-მოლაშქრეს ეკუთვნის სამსახურის პირველ წელს, ღირს თანახმად ს. რ. ს. ბრძანებისა № 260,-24-წლის დაახლოებით 120 მანეთი."

# ახალი ამბები.

— **პოლიტგანყოფილების ბიულეტენი.** გამოვიდა 1 ქართ. დივიზ. პოლიტგანყ. ბიულეტენი პარტ. და პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობის შესახებ 1-ლი იანვრიდან 1-ლ მაისამდე.

— **ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობასთან.** ტფილისის ქალ. აღმასკომმა ტფილისში და მის მაზრაში დღემდე გახსნა 318 წერკომსის სკოლა. აქედან მარტო ქალაქში 247.

— **ბაქტეოროლოგიური ინსტიტუტი.** ქალაქის აღმასკომი ამჟამად ადგენს ხარჯთ-აღრიცხვას ტფილისში ბაქტეოროლოგიური ინსტიტუტის გასახსნელათ.

— **კრემის დ მმზადებელთა კოლექტივი.** შრომის ბირჟის კომიტეტმა დაამტკიცა ტეხნიკურ-ქიმიური შრომის კოლექტივი, რომელიც დაამზადებს ფეხსაცმელების კრემს.

— **საზოგადოებრივი სამრეცხაო.** ტფილისში შესდგა მრეცხავ ქალთა არტელი, რომელიც ხსნის საზოგადოებრივ სამრეცხაოს. არტელში ჩარიცხულია 100 უმუშევარი ქალი.

— **წიგნების გამოცემა.** მიწ.-მოქმ. კომისარიატი შეუდგა სასოფლო-სამეურნეო ხასიათის წიგნების გამოცემას მდაბიო ენაზე.

— **შრომის ნაყოფიერება იზრდება.** უმაღლ. სამ. საბჭოს თამბაქოს ქარხ. № 2 უკანასკნელათ ძლიერ გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. მარტო დეკემბერში დამზადებულ იქნა 4.800 პაპიროსით მეტი სხვა თვეებთან.

— **ხე-ტყის სახმობი სახელოსნო.** ტრამვაის სახელოსნოებთან მოეწყო ხე-ტყის სახმობი სახელოსნო.

— **რესპუბლიკის მთავარი საავადმყოფო.** ჯანსახკომმა შეადგინა ხარჯთაღრიცხვა, ამ წ. ნეთ ცეცხლისაგან დაზარალებულ რ. ს. პ. მთ. საავადმყოფოს შესაკეთებლათ.

— **არაყის დამზადება.** წარმოკავშირმა დაურიგა თავის წევრებს ავანსად არაყის დამზადებისთვის 50 ათასი მანეთი.

— **უმუშევართა სახსრებლოთ.** შრომის კომისარიატმა განიზრახა 1 ლი თებერვლიდან მთელ რესპუბლიკაში დაიწყოს უმუშევართა დახმარების თვის ჩატარება.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე

# განცხადებები

## გაერთიანებული ქართული მეთაურთა სკოლის № 1 კომუჯრედისაგან.

კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება კომპარტიაში და კანდიდატად მიღების შესახებ შემდეგ ამხ:

1. თავაძე ვარლამი მიხეილისძე ა. ლ. კ. კ. წევრი.
2. ნატროშვილი სიმონი თედ. —
3. ენუქიძე მიტროფანი ვასილისძე—„—
4. ტაბიძე ევგენი რემანოზისძე—„—
5. სიხარულიძე გრიგ. სიმონისძე კომპარტიის კანდიდატი
6. ნაფეტვარიძე იოველი კალისტრატესძე—„—
7. საკანდელიძე პალადი ერმილესძე—„— უპარტიო
8. კვანტალიანი გრიგოლი ესტატესძე—„—

ქართული გაერთიანებული მეთაურთა სკოლის №1 იაჩეიკის პრეზიდიუმი გთხოვთ თუ ვინმემ იცით აღნიშნულ ამხანაგების უარყოფითი მხარე პარტიაში მიღების შესახებ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში წერილობით ან სიტყვიერად კომუჯრედში.

მისამართი: ტფილისი (ვაკე) გაერთიანებული ქართული მეთაურთა სკოლა № 1.

კომუჯრედის პასუხისმგებელი მდივანი: ი. ბაქრაძე.

---

სამშაბათს, 13 იანვარს, დილის 10 საათზე, ცენტ. კლუბში შესდგება სემინარების მორიგი მეცადინეობა, გაკეთებული იქნება მოხსენებები:

1. სასპორტო განყ. ლენ. კუთხ.—მერკვილაძე.
2. ლენინის განყ.—შმულევიჩი.

დასწრება სავალდებულოა კლუბის უფროსების, პოლიტხელების, ბიბგამგეების.

ხელმძღვანელი ტ. წვენიევი.